ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1873950

ნომერი: AR1300499

თარიღი : 27.04.2015

გაცემის თარიღი : 03.05.2015

გაცნობის თარიღი : 03.05.2015

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ჭავჭავაძე , N 83 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით ლოსაბერიძე პ/ნ 01005006844
- თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 4 კორ. 1 ბ. 78

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის სსიპ – თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 07/04/2015 წ. #AR1300499 განმეორებითი განაცხადი, რომლითაც ითხოვთ სამსახურის

2010 წლის 10 ივნისის #01/1159 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ სამსახურის 23.04.2015 წ. №1854180 ბრძანებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის საფუძველზე, დაგიდგინდათ ხარვეზი და დაგევალათ 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წარმოგედგინათ სხვენის ფართისა და საერთო ფართის შესწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები, ამასთან შეგეცვალათ განაცხადის ნომენკლატურა (ჯგუფი: სამართლებრივი საკითხები, ქვეჯგუფი: ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში). სამსახურმა შეისწავლა თქვენ მიერ განმეორებით წარმოდგენილი განაცხადი და დაადგინა, რომ ხარვეზი სრულყოფილად არ არის გამოსწორებული, კერძოდ, არ არის წარმოდგენილი საერთო ფართის შესწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელი.
ხარვეზის დადგენის შესახებ ბრძანებას თქვენ გაეცანით 24.04.2015 წ. და განაცხადი განსახილველად შემოაბრუნეთ 27.04.2015წ. შესაბამისად, თქვენ მიერ გამოყენებული იქნა ერთი სამუშაო დღე და წინამდებარე გადაწყვეტილებით დადგენილი ხარვეზის გამოსწორება შეგიძლიათ უზრუნველყოთ დარჩენილი 4 სამუშაო დღის ვადაში, ამისათვის, საჭიროა, წარმოადგინოთ შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის შესაბამისი საერთო ფართის შესწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებელი.
აღნიშნულ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, სამსახურის 23.04.2015 წ. №1854180 ბრძანების შესაბამისად, წინამდებარე 07/04/2015 წ. #AR1300499 განაცხადი დარჩება განუხილველი.
